ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2460536

ნომერი: AR1379084

თარიღი : 17.02.2016

გაცემის თარიღი : 09.03.2016

გაცნობის თარიღი : 01.08.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის III მ/რ, , ნუცუბიძის ქუჩა N129 / ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის III მ/რ, , ნაკვეთის N061-ის მომიჯნავედ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბენი ელიშაყოვი პ/ნ 01015003838
- ნუცუბიძის 129ა

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს ,,ელიტ ოფისი" კოდი: 404903486

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 17 თებერვალს #AR1379084 განცხადებით მომართა ბენი ელიშაყოვმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 12 იანვრის #1678848 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 12 იანვრის #1678848 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ნუცუბიძის III მ/რ, ნუცუბიძის ქუჩა #129/ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ, ნაკვეთის #061-ის მომიჯნავედ, შპს "ელიტ ოფისი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.14.02.025.117) შერეული ფუნქციის ობიექტის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 12 იანვრიდან 2015 წლის 12 მაისის ჩათვლით. სამსახურის 2015 წლის 12 იანვრის #1678848 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს „ელიტ ოფისი“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #B16029457; მომზადების თარიღი: 29/02/2016 წ.; ს/კ: #404903486) თანახმად, შპს „ელიტ ოფისი“–ს დირექტორს წარმოადგენს ბენი ელიშაყოვი. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #882011538806, მომზადების თარიღი: 09/11/2011 წ., ს/კ: #01.14.02.025.117) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ელიტ ოფისი“.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 12 იანვრის #1678848 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, გამორჩენილი ავტოსადგომის ფართობის – 152 კვ.მ–ის დაფიქსირებას.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამსახურის 2015 წლის 12 იანვრის #1678848 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი ითვალისწინებს საპროექტო მიწის ნაკვეთზე ღია ავტოსადგომის მოწყობას. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57–ე დადგენილების მე–3 მუხლის 77–ე პუნქტის თანახმად, ღია ავტოსადგომი არის გადაუხურავი ღია ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადგომად. აქედან გამომდინარე, ღია ავტოსადგომის ფართობი ვერ იქნება დაანგარიშებული საპროექტო ობიექტის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, და ვინაიდან ღია ავტოსადგომის ფართობი არ შედის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში და 2015 წლის 12 იანვრის #1678848 ბრძანების გამოცემის დროს სამსახურის მიერ ტექნიკური შეცდომის დაშვება არ მომხდარა, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა 2015 წლის 12 იანვრის #1678848 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.